

იმკ-ის ინტერპრეტაცია 15

საოპერაციო იჯარა - სტიმულირება

წყაროები:

- ბასს 1 - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ (შესწორებული 2007 წელს).
- ბასს 8 - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“.
- ბასს 17 – „იჯარა“ (შესწორებული 2003 წელს).

განსახილველი საკითხი

1. ახალი ან განახლებული საოპერაციო იჯარის თაობაზე მოლაპარაკების წარმოებისას მეიჯარემ შესაძლოა მოიჯარეს მისცეს გარიგებაში შესვლის სტიმული. ამგვარი სტიმულირების მაგალითებია მოიჯარისათვის თანხის მიცემა წინასწარ ან მეიჯარის მიერ მოიჯარის დანახარჯების ანაზღაურება ან თავის თავზე აღება (ისეთი როგორცაა, გადაადგილების დანახარჯები, საიჯარო ქონების კეთილმოწყობისა და მანამდე არსებულ საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული დანახარჯები). ალტერნატიული ვარიანტია საიჯარო ვადის საწყის პერიოდში საიჯარო ქირისაგან გათავისუფლება ან ქირის შემცირება.
2. საკითხი დგას ამგვარად: როგორ უნდა აღიარდეს სტიმულირება როგორც მოიჯარის, ასევე მეიჯარის ფინანსურ ანგარიშგებაში.

კონსენსუსი

3. ახალი ან განახლებული საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების ყველანაირი სტიმულირება უნდა აღიარდეს როგორც შეთანხმებული წმინდა გადახდის შემადგენელი ნაწილი, მიუხედავად სტიმულირების ხასიათის ან გადახდის ფორმისა და პერიოდულობისა.
4. მეიჯარემ სტიმულირების აგრეგირებული დანახარჯი უნდა აღიაროს საიჯარო ვადის განმავლობაში, საიჯარო შემოსავლის შემცირების სახით წრფივი მეთოდის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სისტემატური საფუძველი უფრო ზუსტად ასახავს მისაღები სარგებლის დროში განაწილებას.
5. მოიჯარემ სტიმულირების აგრეგირებული სარგებელი უნდა აღიაროს საიჯარო ვადის განმავლობაში საიჯარო ხარჯების შემცირების სახით წრფივი მეთოდის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სისტემატური საფუძველი უფრო ზუსტად ასახავს მის განაწილებას იმ დროში, რომლის განმავლობაში საიჯარო აქტივისაგან მისაღები სარგებელი შემცირებულია.
6. მოიჯარის მიერ გაწეული დანახარჯები, მათ შორის, მანამდე არსებულ იჯარასთან დაკავშირებული დანახარჯები (მაგ., იჯარის შეწყვეტის, გადაადგილების ან საიჯარო ქონების კეთილმოწყობის), უნდა აღირიცხოს ამ დანახარჯების შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, იმ დანახარჯების ჩათვლით, რომლებიც რეალურად ანაზღაურებულია წამახალი-სებელი შეთანხმების მეშვეობით.

კონსენსუსის თარიღი

1998 წლის ივნისი.

ძალაში შესვლის თარიღი

წინამდებარე ინტერპრეტაცია ძალაში შედის საიჯარო ხელშეკრულებისთვის, რომელიც მოიცავს 1999 წლის 1 იანვარს და მის შემდგომ დაწყებულ პერიოდს.